პროექტის გეგმა

პროექტის დასახელება:

სასწავლო პროექტი: "ასე იწყებოდა დიდი საქართველო"

არის ინტეგრირებული პროექტი, რომელიც მოიცავდა შემდეგ სასწავლო დისციპლინებს: ისტორია, ქართული. პროექტში მონაწილეობდა 15 კადეტი (X-XI--XII კლასი) და მიმდინარეობდა 2022 წლის დეკემბრიდან 2023 წლის თებერვლამდე

პრობლემის განსაზღვრა და მისი აქტუალობის დასაბუთება:

დღეს თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი გამოწვევა გლობალიზაციაა, რომელიც დადებითთან ერთად ჩვენისთანა პატარა ერებისთვის საფრთხის შემცველიცაა, რადგან შესაძლოა მოხდეს კულტურულ- ეთნიკური ასიმილაცია. ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება იდენტობის დაცვას , პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას, რაც ისტორიის, მისი კულტურის, ტრადიციების შესწავლის გარეშე შეუძლებელია.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 8 თებერვალს წმ. მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს ჩატარებული ინტეგრირებული პროექტი: „ასე იწყებოდა დიდი საქართველო", სადაც კადეტებმა ისტორიულ- ლიტერატურული კომპოზიციით გააცოცხლეს მე-11 საუკუნის ეპოქა და ადვილად მიიპყრეს კიდეც მსმენელთა ყურადღება.

კადეტთა სამხედრო ლიცეუმში დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას, რადგან ჯარისკაცს პირველ რიგში ქვეყნის სიყვარული და თავდადება უნდა ჰქონდეს. სწორედ წინაპართა მიღწევებისა და შეცდომების გათვალისწინება, მათი გმირობის დაფასება და პატივისცემა, რადგან თუ ადამიანი არ აფასებს თავის სამშობლოსა და მის ისტორიას, ის ვერც სხვისი კულტურის დაფასებას შეძლებს. პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა არის ჩვენი მიზანიც, რადგან სწორედ ასეთმა თაობამ უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა ქვეყნის აღმშენებლობაში.

მოსწავლეები პროექტის მსვლელობისას კიდეც უფრო სიღრმისეულად გაეცნენ საქართველოს ისტორიის პერიოდს - ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ მესამედან დავით აღმაშენებლის ჩათვლით. მიმოიხილეს ამ ეპოქის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ქვეყნის გაერთიანების ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები, გაიხსენეს იმ პიროვნებათა ღვაწლი, რომლებიც გვერდში ედგნენ ჩვენს მეფეებს და გადამწყვეტი როლი ითამაშეს საქართველოს გაერთიანების საქმეში.

პროექტის მიზნები:

- ისტორიული ექსკურსი საქართველოს წარსულში
- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში
- პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება
- საქართველოს ისტორიული წარსულის გაცნობა ლიტერატურულ კონტექსტში;
- მხატვრული და შემოქმედებითი აზროვნების უნარების განვითარება;

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:
დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად; ამოცანები და განხორციელების გზები:
პროექტის მიზნის შესაბამისად დაისახა და ეტაპობრივად შესრულდა ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობები:

1. მოსწავლეთა მხრიდან ინფორმაციის მოპოვება, სამუშაოს დანაწილება – 2022 წ. დეკემბერი
2. როლების განაწილება და დამუშავება –2023 წ. იანვარი
3. პრეზენტაცია–2023 წ. 8 თებერვალი

პროექტის შედეგი:

მოსწავლეები აღნიშნული პროექტით უკეთ გაეცნენ საქართველოს ისტორიის პერიოდს XI– XII საუკუნის მიჯნაზე, საშინაო და საგარეო პოლოტიკას, რამაც განაპირობა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა. მოსწავლეებს განუვითარდათ მაღალი სააზროვნო უნარები. პრეზენენტაცია გაიმართა კადეტთა კლუბში.

პროექტის ხელმძღვანელები: **ზინა ბუბუტეიშვილი**
გიგა ბასილაძე
ქალთამზე მელქაძე
ია დანელია